

## პრესრელიზი

### თბოსადგური „მტკვარის“ დამფუძნებელი კომპანიის წილი „ჯი-აი-ჯი“-სთან აფილირებულმა საერთაშორისო კომპანიამ შეიძინა

თბოსადგური „მტკვარის“ დამფუძნებელი კომპანიის წილი „ჯი-აი-ჯი“-სთან აფილირებულმა საერთაშორისო კომპანიამ შეიძინა.

დაგეგმილია შეძენილი აქტივების გამოყენება, როგორც არსებული დადგმული სიმძლავრეების შენარჩუნებისთვის, ასევე სამომავლო სტრატეგიული პროექტების განხორციელებისთვის საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის ჩინელ პარტნიორებთან ერთად.

აქტივის სახით, ჯგუფი „ინტერ რაოსგან“ შეძენილია ქ. გარდაბანში მდებარე თბოსადგური „მტკვარი“ ,რომელიც შედგება ორი ენერგობლოკისგან: მე-9 და მე-10. ობიექტს წლების განმავლობაში ფლობდა ჯგუფი „ინტერ რაო“.

2.06.2016

---

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

